ცხრილი 1. ჰიპოთირეოზით განპირობებული ძირითადი ჰიპოკამპური სტრუქტურული ცვლილებები (Koromilas C, et al. 2010).

- გენის ექსპრესიის ცვლილებები - ცვლილებები მიელინიზაციაში - მიტოქონდრიის სტრუქტურისა და ფუნქციის ცვლილებები - დარღვევები უჯრედების მიგრაციაში - ნეირონული დიფერენციაციის დარღვევები - ცვლილებები უჯრედულ სასიგნალო გზებში - გარკვეული ტრანსკრიფციული ფაქტორების დონის ცვლილებები - ცვლილებები ადგილობრივ სისხლით მომარაგებაში - ცვლილებები აქსონის ზრდასა და უჯრედული კავშირების წარმოქმნაში - მრავალსაფეხურიანი ცვლილებები ნეიროგადაცემასა და ნეირომოდულაციაში
--

ცხრილი 2. ჰიპოთირეოზით განპირობებული ჰიპოკამპის ძირითადი ფუნქციური ცვლილებები (Koromilas C, et al. 2010).

ადამიანის ორგანიზმში თავის ტვინის განვითარდება არ სრულდება საშვილოსნოში, არამედ გრძელდება დაბადების შემდგომაც. ამიტომ, თუ უკმარისობა ნეონატალურ პერიოდში ასევე განაპირობებს მძიმე ნევროლოგიურ დარღვევებს და

გონებრივ ჩამორჩენას. აღნიშნულ პერიოდში თჰ-ის ნაკლებობა შესაძლებელია განპირობებული იყოს იოდის დეფიციტით ან თიროიდული ჯირკვლების არასრულფასოვანი ფორმირებით (Deladoëy et al., 2007; Nilsson and Fagman, 2013; Szinnai, 2014).

2.2 თიროიდული ჰორმონების დეფიციტი ზრდასრულებში

მაშინ როდესაც განვითარების პროცესში ჰიპოთირეოზი იწვევს მძიმე და შეუქცევად დარღვევებს, ზრდასრულ ორგანიზმში თიროიდული დისფუნქცია კორელირებს ნევროლოგიურ და ქცევით დარღვევებთან (Dugbartey AT. 1998) და უმეტეს შემთხვევებში ჰიპოთირეოზით გამოწვეული დარღვევები იხსნება T4-ით მკურნალობის შედეგად (Joffe RT. 2002). არსებობს მრავალი ლიტერატურული მონაცემი, რომლებიც მიუთითებენ, რომ თიროიდული ჰორმონები კავშირშია ნეიროკოგნიტურ დისფუნქციებთან ადამიანის ორგანიზმში. ჰიპოთირეოზი ზრდასრულ ორგანიზმებში განაპირობებს ხასიათის არასტაბილურობას და დეპრესიას, დემენციას, მეხსიერების გაუარესებას და ფსიქომოტორულ პრობლემებს (Smith JW, et al. 2002).

ზრდასრულ ორგანიზმში ჰიპოთირეოზით გამოწვეული დარღვევები მიუთითებენ იმაზე, რომ თიროიდული სტატუსის ცვლილება აღძრავს ცვლილებებს თავის ტვინის იმ უბნებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კოგნიტურ ფუნქციებზე. ცნობილია, რომ ჰიპოკამპი წარმოადგენს თავის ტვინის მნიშვნელოვან უბანს, რომელიც მონაწილეობს დასწავლის, მეხსიერების და ხასიათის განსაზღვრის პროცესებში, გარდა ამისა ჰიპოკამპში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი თიროიდული ჰორმონების რეცეპტორები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ჰიპოკამპი წარმოადგენს თიროიდული ჰორმონების მნიშვნელოვან სამიზნეს თავის ტვინში (Lee et al. 2003; de Jong FJ 2006; Desouza LA, et al. 2005).

ზრდასრულის ჰიპოკამპში ჰიპოთირეოზი განაპირობებს სინაპსური გადაცემისა და პლასტიურობის ცვლილებას (Gilbert 2004). სამეცნიერო მონაცემები მიუთითებენ, რომ TR α ურთიერთქმედებს გენებთან, რომლებიც აშუალებენ სინაპსურ პლასტიურობას და შესაბამისად, თჰ-ს შემცირებამ ან TR α -ს ნაკლებობამ შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი

ცილების ექსპრესიის შემცირება ზრდასრულ ჰიპოკამპში, რომლებიც აუცილებელია სინაპსური პლასტიურობისათვის (Desouza LA, et al. 2005; Vallortigara J, et al. 2009; Zhu DF, et al. 2011). ანატომიურ დონეზე კი ნანახია, რომ ზრდასრული ჰიპოთიროიდული ვირთაგვების ჰიპოკამპში ადგილი აქვს დენტრიტული მორჩების სიხშირის ცვლილებას (Sala-Roca et al. 2008).

ცნობილია, რომ თჰ მონაწილეობენ თავის ტვინში გლუკოზას მეტაბოლიზმის რეგულაციაში (Jahagirdar V and McNay EC. 2012). კლინიკური მონაცემებით ნაჩვენებია, რომ ჰიპოთირეოზის დროს ნეირონული აქტივობა და გლუკოზას მეტაბოლიზმი თავის ტვინში შემცირებულია (Bauer et al. 2009). თჰ-ის მიერ გლუკოზას მეტაბოლიზმის რეგულაცია შესაძლოა რამდენიმე მექანიზმით ხორციელდებოდეს, მათ შორის სიმპათიკური ნერვული სისტემის გააქტივებით, გლუკოზას ტრანსპორტის ცვლილებით და გლუკოკორტიკოიდების სასიგნალო გზებთან ურთიერთქმედებით (Jahagirdar V and McNay EC. 2012). ცნობილია, რომ ჰიპოთიროიდული ვირთაგვების ჰიპოკამპში Na^+/K^+ ატფ-აზას (რომლის ფუნქციონირებაზეც იხარჯება გლიკოლიზური ატფ-ის ძირითადი ნაწილი) აქტივობა დაახლ. 45% არის შემცირებული, რაც მიუთითებს თჰ-ის შესაძლო როლზე ჰიპოკამპის მიერ გლუკოზას მოხმარებაში (Wyse et al. 2004; Carageorgiou et al. 2007). კვლევის შედეგები ასევე მიუთითებენ, რომ ჰიპოთირეოზის დროს იონური გრადიენტი შესაძლებელია დარღვეული იყოს თავის ტვინის გაზრდილი აქტივობის პერიოდში (მაგ. მეხსიერების ფორმირების გააქტივების დროს), რაც შესაძლოა წარმოადგენდეს დამაკავშირებელ რგოლს ჰიპომეტაბოლიზმსა და მეხსიერების გაუარესებას შორის შეცვლილი თიროიდული სტატუსის პირობებში (Carageorgiou et al. 2007).

მიუხედავად იმისა, რომ თიროიდული დისბალანსი ზრდასრულ ორგანიზმებში ძალიან ხშირია, მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჰიპოთირეოზით გამოწვეული დარღვევებს ნაკლებად შესწავლილია (Remaud S, et al. 2014).

თავი 3. თიროიდული ჰორმონები და მიტოქონდრია


თიროიდული ჰორმონების სტატუსი ძლიერ გავლენას ახდენს მიტოქონდრიაზე (Harper ME, Seifert EL. 2008). ცნობილია, რომ თიროიდული ჰორმონები, განსაკუთრებით ტრიოდთირონინი და დიოდთირონინი, მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ მიტოქონდრიულ ენერგეტიკაზე და მიტოქონდრიის გენომზე (Cheng SY, et al; 2010) თუმცა, თიროიდული ჰორმონების მიტოქონდრიაზე მოქმედების კომპლექსური მექანიზმი ჯერ კიდევ აქტიური კვლევის საგანს წარმოადგენს (Schmidt, O., et al; 2010).

თიროიდული ჰორმონების მიერ მიტოქონდრიული აქტივობის ცვლილება შესაძლებელია პირდაპირი და არაპირდაპირი მოქმედებით განხორციელდეს. პირდაპირი გზა საჭიროებს თ3-ის დამაკავშირებელ სპეციფიკურ საიტებს მიტოქონდრიაში, ხოლო არაპირდაპირი გზა არ მოითხოვს მსგავსი საიტების არსებობას და შესაძლებელია გაშუალებული იყოს უჯრედის სხვადასხვა ნაწილში ინიცირებული სასიგნალო გზებით (Cioffi F, et al; 2013).

პირველად T3-ის დამაკავშირებელი უბნები მიტოქონდრიის შიდა მემბრანაზე გამოავლინეს Sterling და Milch-მა 1975 წელს (Sterling, K., Milch, P.O., 1975). რის შემდეგაც ივარაუდეს, რომ მიტოქონდრიაში არსებული T3-ის დამაკავშირებელი უბნები შესაძლებელია მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ როლს თამაშობდეს მიტოქონდრიის ტრანსკრიფციული აპარატის რეგულაციაში, რაც ბირთვულ გენომთან სინქრონულად მოქმედების შედეგად მიტოქონდრიული ბიოგენეზის კონტროლს განაპირობებს. მართლაც, ადრეული კვლევებით ნანახი იქნა, რომ T3 არეგულირებდა მიტოქონდრიაში და მიტოქონდრიული ნუკლეინის მჟავას რაოდენობას (Mutvei et al., 1989). გარდა ამისა, იზოლირებულ მიტოქონდრიაში ნაჩვენები იქნა T3-ის პირდაპირი მოქმედება მიტოქონდრიულ რნმ-პოლიმერაზაზე (Martino et al. 1986)., Wrutniak და კოლეგებმა კი ვირთაგვის ღვიძლის მიტოქონდრიულ ექსტრაქტში მოახდინეს T3-ის დამაკავშირებელი ორი ცილის იდენტიფიცირება: ერთი მათგანი (მოლეკულური მასით

43 kDa) მდებარეობდა მიტოქონდრიის მატრიქსში, ხოლო მეორე (მოლეულური მასით 28 kDa) მიტოქონდრიის შიდა მემბრანაზე (Wrutniak et al. 1995). როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელები წარმოადგენენ TR α 1 და TR β 1-ის ჩამოჭრილ ფორმებს, რომელთაც უნარი აქვთ წარმოქმნან ჰეტეროდიმერები სხვა მიტოქონდრიულ ტრანსკრიფციის ფაქტორებთან (მაგ. რეტინოიდული X რეცეპტორი) და სპეციფიკურად დაუკავშირდნენ TRE პრომოტორულ უბანს მიტოქონდრიული გენომის D-მარყუჟში (მაგ. ციტოქრომ c ოქსიდაზას პრომოტერს)(Wrutniak C, et al; 1998. Sterling K, et al; 1984. Wrutniak-Cabello C, et al; 2001. Marin-Garcia J. 2010. Casas F, et al; 1999. Sheehan TE, et al ; 2004). რის შედეგადაც ასტიმულირებენ მიტოქონდრიული გენომის ტრანსკრიფციას, რაც უნდა წარმოადგენდეს მექანიზმს, რისი საშუალებითაც თიროიდულ ჰორმონებს შეუძლიათ პირდაპირი გავლენა მოახდინონ მიტოქონდრიების რეპლიკაციაზე (Cheng et al; 2010).

არსებული სამეცნიერო მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თიროიდული ჰორმონები მიტოქონდრიებზე სულ მცირე სამი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული მექანიზმით მოქმედებენ. პირველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს თ3-ის მიერ მიტოქონდრიული ტრანსკრიფციის ცვლილებას უშუალოდ თ3-ის მიტოქონდრიულ რეცეპტორებთან დაკავშირების შედეგად. მეორე გულისხმობს თ3-ის დაკავშირებას ბირთვულ თ3-ის რეცეპტორთან და ბირთვული გენების ექსპრესიის ცვლილებას, მესამე კი - მედიატორების (როგორებიცაა ტრანსკრიფციის ფაქტორი NRF-1, NRF-2 და PPARc) და კოაქტივატორების (PGC-1 α და PGC-1 β) სინთეზს, მათ შესვლას ბირთვში და თ3-ის სამიზნე გენების რეგულაციას. გარდა ამისა, თ3-მა შესაძლებელია დამატებითი გავლენა მოახდინოს აღნიშნულ მექანიზმებზე სხვა არაგენომური მოქმედებებით, როგორიცაა პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციები, ან თ3-ის უშუალო დაკავშირება ზოგიერთ უჯრედულ სამიზნეზე (იხ. სურ. 5) (Cioffi F et al; 2013).



სურ. 5. მიტოქონდრიული ფუნქციების რეგულაცია თიროიდულ ჰორმონებზე დამოკიდებული ბირთვულ-მიტოქონდრიული მექანიზმების ურთიერთკავშირით (Cioffi F et al; 2013).

3.1 თიროიდული ჰორმონები და მიტოქონდრიის ენერგეტიკა

თიროიდული ჰორმონები წარმოადგენენ მეტაბოლიზმის სიჩქარის მთავარ ენდოკრინულ რეგულატორებს და მათი ჰიპერმეტაბოლური გავლენა ფართოდაა აღიარებული. ცნობილია, რომ ჰიპერთირეოზის სიმპტომია მეტაბოლური დონის ზრდა. თიროიდექტომიის შედეგს კი წარმოადგენს ბაზალური მეტაბოლიზმის დონის 40%-მდე შემცირება. არსებობს პირდაპირი კავშირი ცირკულირებადი თიროიდული ჰორმონის დონესა და მეტაბოლიზმის სიჩქარეს შორის (Harper ME, Seifert EL. 2008) თჰ-ის მაღალი დონე ზრდის ჟანგბადის მოხმარებასა და სითბოს წარმოქმნას, რაც განაპირობებს სხეულის მასის კლებას ენერგიის ჭარბად მიღების მიუხედავად, მაშინ როდესაც, თჰ-ის დაბალი დონე ასოცირებულია ენერგიის ხარჯვის შემცირებასთან და წონის მატებასთან (Tata JR, Ernster L, Lindberg O. 1962. Tata JR, et al; 1963. Krotkiewski M. 2002. Tata JR. 2013). მიუხედავად, იმისა, რომ აღნიშნული ფენომენი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გახდა ცნობილი (Magnus-Levy, A., 1895) და მე-20 საუკუნეში მრავალი კვლევა ჩატარდა თჰ-ის

მიტოქონდრიული სამიზნეების გამოსავლენად, თიროიდული ჰორმონების ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე მოქმედების ზუსტი მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი (Harper ME. Et al; 2008. Harper ME, Seifert EL. 2008).

ცნობილია, რომ უჯრედში ენერგეტიკული წყაროების დაჟანგვა შეუღლებულია მიტოქონდრიის შიდა მემბრანაზე ატფ-სინთაზას აქტივობასთან. საწვავი ნივთიერებების დაჟანგვა განაპირობებს მიტოქონდრიული ელექტრონების გადამტანი ჯაჭვის აქტივობას, რომელიც თავის მხრივ ქმნის პროტონმამოძრავებელ ძალას, ხოლო ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ატფ-სინთაზას აქტივობას და შესაბამისად ატფ-ის წარმოქმნას. საწვავი ნივთიერებების დაჟანგვის შეუღლება ატფ-ის სინთეზთან ცვალებადია. შეუღლების გათიშვა უშუალოდ ზემოქმედებს ატფ-ის სახით შენახული და სითბოს სახით დაკარგული ენერგიების თანაფარდობაზე. ენერგეტიკული თვალსაზრისით არაშეუღლებული ჟანგვითი ფოსფორილების ერთადერთი გამოსავალი არის სითბო. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია იქნა, რომ ჟანგვითი ფოსფორილების შეუღლების ეფექტურობა კორელაციაშია ბევრ ისეთ ფაქტორთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ბაზალური მეტაბოლიზმის სიჩქარეზე (BrandMD, 2005). ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია თიროიდული ჰორმონების სტატუსი.

რუხ ცხიმოვან ქსოვილში მიტოქონდრიული შეუღლების გამთიშავი ცილის (UCP1)-ის აღმოჩენის შემდეგ აქტიური კვლევები დაიწყო UCP-ოჯახის ცილების შესაძლო როლის გამოსავლენად, რომლებსაც ისინი უნდა ასრულებდნენ თჰ-ის თერმოგენული ეფექტის გამოვლენაში. აღმოჩნდა, რომ UCP-ს მაკოდირებელ გენებს გააჩნიათ TREs თავიანთ პრომოტორში და მათი ექსპრესიის დონე იზრდება თჰ-ით მკურნალობისას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სავარაუდოდ, სწორედ ისინი აშუალებენ თჰ-ით გამოწვეულ თერმოგენეზს (Barbe P. et al. 2001).

სხვადასხვა კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ UCP-ის მიერ მიტოქონდრიული შეუღლების გათიშვა განპირობებული უნდა იყოს ან UCP-დაკავშირებული ანიონური კარბოქსილმჟავების მიერ (მაგ. თავისუფალი ცხ. მჟავები) წყალბადის პროტონების გადატანით პროტონული გრადიენტის მიმართულებით ან პროტონირებული კარბოქსილმჟავების ტრანპორტირებით მატრიქსში, რასაც თან უნდა სდევდეს UCP-ის

მიერ კატალიზებული კარბოქსილმჟავების ანიონების გადატანა საპირისპირო მიმართულებით (Azzu V, Brand MD. 2010. Robinson AJ. et al; 2008).

UCP-მოქმედების მექანიზმების კვლევებისადმი ყურადღების განახლება გამოიწვია იმის აღმოჩენამ, რომ შეუღლების გამთიშავი ცილები წარმოდგენილი არიან არა მხოლოდ რუხ ცხიმოვან ქსოვილში, არამედ ქსოვილებისა და უჯრედების უმეტესობაში. ამასთანავე დადგინდა ისიც, რომ მათი ექსპრესია იზრდება თჰ-ის მიერ (Lanni, A., et al; 1997. Lanni, A., et al; 1999. de Lange, P., et al; 2001).

დღეისათვის, ძუძუმწოვრებში იდენტიფიცირებულია შეუღლების გამთიშავი ხუთი ტიპის ცილა. UCP1 (თერმოგენინი) გვხვდება მხოლოდ რუხი ცხიმოვანი ქსოვილის შიდა მიტოქონდრიულ მემბრანაზე და მისი მთავარი ფუნქცია არის ადაპტურ თერმოგენეზში მონაწილეობა, რაც თჰ-ით სტიმულირდება (Brand MD, et al; 2004. Trumpower BL. 1990. Zaninovich AA. 2005). UCP2 და UCP3-ის ამინომჟავური თანმიმდევრობის 60%, როგორც აღმოჩნდა, UCP1-ის ჰომოლოგიურია. მათი კონცენტრაცია კი UCP1-თან შედარებით გაცილებით დაბალია. UCP2 ადამიანის თითქმის ყველა ქსოვილში გვხვდება და რეგულატორულ როლს თამაშობს ინსულინის გამოთავისუფლებაში, იმუნურ ფუნქციებსა და ნეიროპროტექციაში. UCP3 ექსპრესირებულია ჩონჩხის კუნთებში (Wolkow CA, Iser WB. 2006. Pecqueur C, et al. 2001). თავგებში UCP3-ის ჭარბი ექსპრესია იწვევს სხეულის მასის შემცირებას საკვების მიღების ზრდის მიუხედავად (Clapham JC, et al; 2000. Costford SR, et al; 2008). UCP2 და UCP3-ის სხვა ფუნქციებს მიეკუთვნება ადაპტური თერმოგენეზის კონტროლი, ოქსიდაციური სტრესისგან დაცვა, უჯრედის ენერგეტიკული ბალანსის კონტროლი, ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვისა და ატფ-ის სინთეზის რეგულაცია (Douette P, Sluse FE. 2006. Boss O, et al; 2000). UCP4 და UCP5 წარმოდგენილია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ვარაუდობენ, რომ ისინი იცავენ ნეირონებს Ca^{2+} ის ჭარბი რაოდენობისა და/ან ოქსიდაციური სტრესისგან (Liu D, et al. 2006. Kwok KH, et al. 2010). გარდა ამისა, UCP4 ცვლის ნეირონულ ენერგეტიკულ მეტაბოლიზმს, ზრდის გლუკოზას შეთვისებას და გლიკოლიზურ აქტივობას, ასევე არეგულირებს Ca^{2+} -ის ჰომეოსტაზს (Beck V, et al. 2007). ნეირონებს, რომლებშიც ექსპრესირებულია UCP4, გააჩნიათ შედარებით დაბალი $\Delta\psi/m$,

მიტოქონდრიაში აკუმულირებული Ca^{2+} -ის შემცირებული დონე და წარმოქმნიან ROS-ის ნაკლებ ოდენობას (Liu D, et al. 2006). UCP5-ს UCP4-ის მსგავსი თვისებები გააჩნია, თუმცა განსხვავდება მისგან იმით, რომ აძლიერებს მიტოქონდრიის ფუნქციებს. კერძოდ, UCP5-ის ჭარბი ექსპრესია იწარჩუნებს ატფ-ის დონეს, ჟანგვით ფოსფორილებას და თრგუნავს ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას MPP+ ის ტოქსიკური მოქმედების პირობებში (Kwok KH, et al. 2010).

როგორც ჩანს, თიროიდული ჰორმონების ჰიპერმეტაბოლური ეფექტები ნაწილობრივ განპირობებულია ატფ-ზე გაზრდილი მოთხოვნოვნებით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია შეუღლების გათიშვის ზრდით. მეორეს მხრივ, რამდენადაც თიროიდული ჰორმონები ააქტივებენ ატფ-ის მომხმარების პროცესებს, როგორცაა მაგ. Na^+/K^+ -ატფ-აზა და Ca^{++} -ატფ-აზა, იზრდება მოთხოვნა ატფ-ზე და მაშასადამე, შეუღლებულ ჟანგვით ფოსფორილირებაზე.

3.2 თიროიდული ჰორმონების გავლენა უჯრედის ოქსიდაციურ სტატუსსა და აპოპტოზზე

თჰ აკონტროლებენ უჯრედების დიფერენციაციას, ზრდას და სიკვდილს (Altucci L, Gronemeyer H. 2001. Oppenheimer J, et al; 1996). თჰ-ით ინდუცირებული აპოპტოზი ნაწილობრივ იქნა სხვადასხვა სისტემებში, მაგ. პრომიელოლეიკემურ HL-60 უჯრედებში (Hara M, et al. 2000) დიფერენცირებად ჰემატოპოეზურ უჯრედებში (Grymala K, et al; 2007) და ადამიანის T ლიმფოციტებში (Mihara S, et al. 1999). მექანიზმი, რომლითაც თჰ ასტიმულირებენ აპოპტოზს ბოლომდე გარკვეული არ არის. თუმცა, ნაჩვენებია იქნა, რომ T3-ით დამუშავება ზრდის პროაპოპტოზური Bax და Bak ცილების დონეს, ანტიაპოპტოზური ცილა Bcl-2-ის შემცირებასთან ერთად (Yehuda-Shnaidman E, et al; 2005). თიროიდული ჰორმონების მიერ Bcl-2 ცილების მიტოქონდრიული შემცველობის ცვლილება გამოწვეული უნდა იყოს მათი ტრანსლოკაციით მიტოქონდრიის შიგნით/გარეთ, ვიდრე მათი ექსპრესიის და საერთო უჯრედული შემცველობის ცვლილებით (Deng X, et al; 2001).

მიტოქონდრია წარმოქმნის ROS-ს როგორც ენერგიის მეტაბოლიზმის თანხმლებ პროდუქტს. უჯრედების მიერ მოხმარებული ჟანგბადის დაახლოებით 0.2-2% გარდაიქმნება სუპეროქსიდად და სხვა ჟანგბადის თავისუფალ ფორმებად (Hansford RG, et al; 1997). რამდენადაც თქვენთვის ცნობილია მიტოქონდრიულ ენერგეტიკაზე, გასაკვირი არ არის, რომ ისინი ასევე გავლენას ახდენენ ROS-ის წარმოქმნაზეც. მრავალ ასპექტში ჰიპო- და ჰიპერთირეოზის გავლენა ROS-ის წარმოქმნაზე, როგორც ჩანს, ქსოვილ სპეციფიკურია. საერთო ჯამში კი ჰიპერთირეოზი დაკავშირებულია ROS-ის პროდუქციის ზრდასთან და ჰიპოთირეოზი მის შემცირებასთან. თქვენთვის ცნობილია არამარტო ელექტრონების გადამტანი ჯაჭვის მიერ ROS-ის წარმოქმნას, არამედ გავლენას ახდენენ ROS-ისგან დამცავ მექანიზმებზეც (მაგალითად სუპეროქსიდ დისმუტაზასა და გლუტათიონ პეროქსიდაზას აქტივობაზე)(Harper ME, Seifert EL. 2008).

3.3 თიროიდული ჰორმონები და მიტოქონდრიული ბიოგენეზი

თიროიდული ჰორმონები იწვევენ მიტოქონდრიულ ბიოგენეზს, რაც გამოიხატება მიტოქონდრიების რიცხვის, მიტოქონდრიული მემბრანების, დნმ-ის, ცილების, ფერმენტული აქტივობის და ჟანგვითი ფოსფორილების ზრდაში (Weitzel JM, Iwen KA. 2011. Lee JY, et al. 2012).

მიტოქონდრიული დნმ შეიცავს 37 გენს, მაშინ როდესაც მიტოქონდრიაში დაახლოებით 1200-1500 გენის პროდუქტია ნანახი (DiMauro, S., Schon, E.A., 2003.; Schmidt O., et al; 2010). რამდენადაც მიტოქონდრიული დნმ მიტოქონდრიული ცილების მხოლოდ მცირე ნაწილს აკოდირებს, მიტოქონდრიების ბიოგენეზი თქვენთვის ცნობილია და ბირთვული გენომის კოოპერაციას მოითხოვს (Weitzel JM, Iwen KA. 2011). მართლაც, აღმოჩნდა, რომ თქვენთვის ცნობილია ბირთვული და მიტოქონდრიული დნმ-ით კოდირებული სუნთქვითი ჯაჭვის და ჟანგვითი ფოსფორილების კომპონენტების ექსპრესიას, როგორებიცაა მაგ. ციტოქრომ c ოქსიდაზა, ციტოქრომ c, ANT, F0/F1 სინთაზა (Lee JY, et al. 2012). გარდა ამისა, თქვენთვის ცნობილია ასტიმულირებს ბირთვული დნმ-ით კოდირებული ტრანსკრიფციული ფაქტორების ექსპრესიას, რომლებიც არეგულირებენ

მიტოქონდრიული დნმ-ის რეპლიკაციასა და ტრანსკრიფციას. ასეთ ტრანსკრიფციულ ფაქტორებს მიეკუთვნება PGC-1 α , NRF-1 და მიტოქონდრიული ტრანსკრიფციის ფაქტორი A (Lee JY, 2012. Patrushev MV, Patrusheva VE. 2011). იმავდროულად, თქ აინდუცირებს ცილების (მაგ . ციკლოფილინ D) იმპორტს მიტოქონდრიის მატრიქსში (Yehuda-Shnaidman E, et al; 2005. Craig EE, et al; 1998) მიტოქონდრიული ცილების გადამტანების (მაგ. სითბური შოკის ცილა 70) აღმავალი რეგულაციის გზით (Schneider JJ, Hood DA. 2000). გარდა ამისა, თქ გავლენას ახდენს მიტოქონდრიულ ბიოგენეზზე უშუალოდ, ბირთვისაგან დამოუკიდებლად. მიტოქონდრიული გენების ტრანსკრიფცია, ბირთვული TR-გან დამოუკიდებლად, გამოწვეულია თქ-ის მაღალი აფინობით თქ-ის მიტოქონდრიული რეცეპტორების მიმართ (Davis PJ, et al. 2011. Moreno M, et al; 2008).

3.4 თიროიდული ჰორმონები ცვლიან მიტოქონდრიის შიდა მემბრანის ფიზიკურ მახასიათებლებსა და ლიპიდურ შემადგენლობას


თიროიდული ჰორმონების სტატუსი გავლენას ახდენს მიტოქონდრიის შიდა მემბრანის ფიზიკურ მახასიათებლებსა და ცხიმოვანი მჟავების შემცველობაზე. სავარაუდოდ, ეს ცვლილებები უნდა წარმოადგენდნენ მექანიზმებს, რისი საშუალებითაც თიროიდული ჰორმონები ცვლიან ჟანგვით ფოსფორილირებას (Hulbert AJ. 2000). მექანიზმის (ბირთვული რეცეპტორის გზით ან თიროიდული ჰორმონების პირდაპირი კავშირი მიტოქონდრიულ მემბრანებთან) მიუხედავად, აშკარაა, რომ თიროიდულ სტატუსს გააჩნია ძლიერი გავლენა მემბრანის განვლადობასა და ლიპიდურ შემადგენლობაზე. ჰიპოთიროიდული ღვიძლიდან იზოლირებული მიტოქონდრიული მემბრანები, ისევე როგორც მიტოპლასტები (მიტოქონდრია, რომელსაც შენარჩუნებული აქვს შიდა მემბრანა და არ გააჩნია გარეთა მემბრანა), ხასიათდებიან მემბრანის რიგიდულობის შემცირებით, ხოლო ჰიპერთიროიდული ვირთაგვებისათვის მემბრანის რიგიდულობა გაზრდილია ეუთიროიდულ მიტოპლასტებთან შედარებით (Harper ME, Seifert EL. 2008).

თავი 4. თავის ტვინის ენერგეტიკული მეტაბოლიზმი

მეტაბოლიზმის თვალსაზრისით ადამიანის თავის ტვინი განსაკუთრებული ორგანოა. ის ორგანიზმის საერთო ენერგიის დაახლ. 20-25% მოიხმარს, მაშინ როდესაც სხეულის წონის მხოლოდ 2%-ს შეადგენს (Belanger et al., 2011; Brooks et al., 2007; Schubert, 2005). ნერვული უჯრედის გადარჩენისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის ატფ-ის მუდმივი მიწოდება აუცილებელია (Nicholls, D.G., and S.L. Budd. 2000). ცნობილია, რომ ადამიანის თავის ტვინის კორტიკალური ნეირონი სხვადასხვა ბიოლოგიური ფუნქციების განსახორციელებლად წამში დაახლ. ატფ-ის 4,7 მლრდ მოლეკულას მოიხმარს (Zhu, X.-H., et al; 2012).

უკანასკნელი წლების სამეცნიერო მონაცემები მიუთითებენ, რომ თავის ტვინის სხვადასხვა ტიპის უჯრედებს შორის არსებობს რთული ურთიერთკავშირი, რაც არეგულირებს მათ ფუნქციებს და ემყარება თითოეული ტიპის უჯრედის სპეციფიკურ მეტაბოლიზმს. თავის ტვინი შედგება სხვადასხვა ტიპის უჯრედებისაგან, მათ შორის ასტროციტების, ოლიგოდენდროციტებისა და მაღალდიფერენცირებული უჯრედების- ნეირონებისაგან (სურ. 6), რომლებიც ერთმანეთთან მეტაბოლური ინტერმედიატების

საშუალებით ურთიერთობენ (Currais A. 2015).




სურ 6: თავის ტვინის უჯრედების ძირითადი ტიპები (Allen N. and Barres B.2009).

ნეირონებს ახასიათებთ შედარებით დაბალი გლიკოლიზური აქტივობა, რაც განპირობებულია იმით, რომ ნეირონებში ფერმენტი 6-ფოსფოფრუქტოზა-2-კინაზა/ფრუქტოზა-2,6-ბიფოსფატაზა-3 (Pfkfb3) ფაქტიურად არ გვხვდება. აღნიშნული ფერმენტი პასუხისმგებელია ფრუქტოზა-2,6-ბიფოსფატის პროდუქციაზე, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს გლიკოლიზის მარეგულირებელი ფერმენტის ფოსფოფრუქტოკინაზა-1-ის პოტენციურ აქტივატორს (Almeida et al., 2004; Herrero-Mendez et al., 2009). შესაბამისად, გლუკოზას ჭარბი შედინება ნეირონულ უჯრედში იწვევს მისი მეტაბოლიზმის გააქტივებას არა გლიკოლიზის, არამედ პენტოზაფოსფატური გზით (PPP) (Bolanos et al., 2010). PPP უზრუნველყოფს ნერვულ უჯრედებს NADPH-ით. NADPH კი აუცილებელია მიტოქონდრიებით წარმოებული ROS-ის დაგროვების თავიდან აცილებისათვის (Schubert, 2005) და ასევე ნეირონების უჯრედული ანტიოქსიდანტური სტატუსის შენარჩუნებისათვის (მაგ. აღდგენილი გლუტათიონის რეგენერაციისათვის)(Belanger et al., 2011; Rodriguez-Rodriguez et al., 2013).

ნეირონების დიდი ენერგეტიკული მოთხოვნილებებისა და ამავდროულად მკაცრად რეგულირებადი გლიკოლიზის გამო, ნეირონები ენერგიის წარმოსაქმნელად სხვადასხვა სუბსტრატებს იყენებენ. გარდა იმისა, რომ მათ გააჩნიათ გლუკოზას ტრანსპორტერები (ძირითადად GLUT 3) და იღებენ ატფ-ს გლიკოლიზის გზით, ასევე მოიხმარენ ლაქტატს, კეტონურ სხეულებს, პირუვატს, გლუტამატსა და გლუტამინს(Zielke et al., 2009). დღეისათვის გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნეირონების მთავარ ენერგიის წყაროს მათ მიერ ლაქტატის შეთვისება და TCA ციკლში დაჟანგვა წარმოადგენს.

ნეირონებისათვის ლაქტატის მთავარ მომწოდებელს წარმოადგენენ ასტროციტები (ასტროციტ-ნეირონული ლაქტატის შათლი) (Pellerin and Magistretti, 2012), რომლებსაც ნეირონებთან შედარებით ჟანგვითი ფოსფორილების დაბალი და გლიკოლიზური მეტაბოლიზმის მაღალი დონე ახასიათებთ (იხ.სურ.7). ასტროციტების ამგვარ მეტაბოლიზმს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. კერძოდ, ფერმენტ Pfkfb3-ს ექსპრესიის მაღალი დონე, ციტოზოლიდან მიტოქონდრებში NADH-ის გადამტანი

მალატ-ასპარტატული მაქოს კომპონენტის - ასპარტატ/გლუტამატური გადამტანის დაბალი ექსპრესიის დონე (Berkich et al., 2007; Ramos et al., 2003) და ბოლოს, პირუვატდეჰიდროგენაზას ინაქტივირება ან/და მისი ექსპრესიის დაბალი დონე, რაც განაპირობებს პირუვატის უპირატესად ლაქტატად გარდაქმნას ასტროციტებში (Belanger, M., et al; 2011).




სურ.7 ასტროციტ-ნეირონული მეტაბოლიზმის შეუღლება (Beltrán Felipe A., et al; 2012).

თავის ტვინის უჯრედებიდან ოლიგოდენდროციტების მეტაბოლიზმი დღეისათვის ყველაზე ნაკლებად შესწავლილია. ოლიგოდენდროციტები გარს აკრიან აქსონებს და უზრუნველყოფენ ეფექტურ ნეიროგადაცემას, თუმცა, ასტროციტების

მსგავსად, მათ ასევე აქვთ უნარი გაცვალონ მეტაბოლური ინტერმედიატები ნეირონებთან (Amaral et al., 2013).

დაბალი გლიკოლიზური აქტივობის გამო ნეირონების ენერგიით უზრუნველყოფა უმთავრესად მიტოქონდრიების საშუალებით ხდება (Herrero-Mendez A, et. al 2009). მიტოქონდრიების ძირითად ფუნქციას სწორედ ატფ-ის სინთეზი წარმოადგენს, რაც ელექტრონების გადატანისა და ჟანგვითი ფოსფორილების შეუღლებით ხორციელდება. აღდგენილი კოფაქტორები - NADH და FADH_2 , რომლებიც მიიღებიან ენერგეტიკული სუბსტრატების (ნახშირწყლები, ცხიმები და ცილები) დაჟანგვის შედეგად, ელექტრონებს აწვდიან მიტოქონდრიების შიდა მემბრანაზე არსებულ ელექტრონების გადამტან ჯაჭვს (იხ.სურ.8). ელექტრონების გადამტან ჯაჭვში ელექტრონების გადატანასთან ახლავს წყალბადის პროტონების გადატუმბვა მიტოქონდრიული მატრიქსიდან მემბრანათშორის სივრცეში, რაც განაპირობებს პროტონმომძრავებელი ძალის წარმოქმნას. ამ უკანასკნელის ენერგია კი გამოიყენება ელექტრონების გადამტანი ჯაჭვის მეხუთე კომპლექსის - ატფ-სინთაზას მიერ ადფ-ის ფოსფორილებისათვის (Busiello RA, et al; 2015).



სურ. 8 ელექტრონების გადამტანი ჯაჭვი


ნერვულ უჯრედებში გლიკოლიზსა და ჟანგით ფოსფორილებას შორის არსებული ნატიფი ბალანსი ცენტრალურ როლს უნდა ასრულებდეს დაბერებასა და ანთებითი პროცესებში, ასევე ნეიროდეგენერაციულ დაავადებებში (Currais A.2015).

რამდენადაც თავის ტვინი წარმოადგენს ენერგიის ყველაზე დიდ მომხმარებელს ადამიანის ორგანიზმში, და ნეირონების განვითარება და ფუნქციონირება ძლიერ არის დამოკიდებული ატფ-ის პროდუქციაზე, ენერგეტიკული მეტაბოლიზმის უმნიშვნელო დარღვევასაც კი ძლიერი გავლენა აქვს თავის ტვინზე. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ მიტოქონდრიული დეფექტები წარმოადგენენ მექანიზმს, რომელიც საფუძვლად უდევს ქრონიკულ ნეირონულ დისფუნქციებს და აღნიშნული ჰიპოთეზის დამადასტურებელი მონაცემები დღითიდღე იზრდება (Khattri N, Man HY 2013).

გარდა იმისა, რომ მიტოქონდრიები უზრუნველყოფენ ნერვულ უჯრედებს ატფ-ით, ისინი ასევე ჩართულნი არიან აპოპტოზისა და ჟანგბადის აქტიური ფორმების (ROS) მეტაბოლიზმის პროცესებში (Chen H, Chan DC. 2009), მონაწილეობენ Ca^{2+} -ის ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში, ნეიროტრანსმიტერების გამოთავისუფლებაში, ნეიროგენეზსა და ნეიროპლასტიურობაში. მიტოქონდრიები უზრუნველყოფენ უჯრედებს TCA (ლიმონმჟავა) ციკლის ინტერმედიატებით, რომლებიც გამოიყენებიან გაემ-ის (გამა-ამინოერბოსმჟავა) და გლუტამატის სინთეზისათვის (Sheng ZH and Cai Q. 2012; Sibson, N.R., et al., 1998).

მიტოქონდრიები, განსაკუთრებით კი ნეირონული უჯრედების მიტოქონდრიები, წარმოადგენენ დინამიურ ორგანოებს, რომლებიც მუდმივად მოძრაობენ, ერწყმიან ერთმანეთს და იყოფიან უჯრედული მოთხოვნილებების საპასუხოდ (Friedman JR. and Nunnari J. 2014, Lackner LL. 2013. Chen, H. and Chan, D.C. 2010). მათი შერწყმასა და გაყოფას შორის არსებული ბალანსით რეგულირდება მიტოქონდრიების ფორმა, ფუნქცია და უჯრედული ჰომეოსტაზი (Liesa, M., et al; 2009). ორივე პროცესი რეგულირდება უჯრედული და მიტოქონდრიული სასიგნალო გზებით და გარკვეულ ცილა-ცილოვან ურთიერთობებზეა დამოკიდებული (იხ.სურ.9). ასე მაგალითად, ოპტიკური ატროფიის ცილა 1 (OPA-1) ლოკალიზებულია მიტოქონდრიის შიგნითა მემბრანაზე და პასუხისმგებელია შიდა მემბრანის შერწყმაზე, მიტოფუზინ 1 (Mfn-1) და

მიტოფუზინ-2 (Mfn-2) ლოკალიზებული არიან მიტოქონდრიის გარეთა მემბრანაზე და მონაწილეობენ გარეთა მემბრანის შერწყმაში. ეს ცილები ახორციელებენ მიტოქონდრიების შერწყმას, ხოლო დინამინთან დაკავშირებული ცილა-1 (Drp-1) ურთიერთქმედებს რა შერწყმასთან დაკავშირებულ ცილა 1-თან (Fis-1) და მიტოქონდრიული გაყოფის ფაქტორთან (MFF) მონაწილეობს მიტოქონდრიების გაყოფაში (Campello S., Scorrano L (2010) ; Corrado M, et al; 2012; Liesa M, et al; 2009).



სურ. 9 მიტოქონდრიების შერწყმა და გაყოფა (Mandemakers W., et al. 2007).

როდესაც მიტოქონრიების გაყოფასა და შერწყმას შორის არსებული ნატიფი ბალანსი ირღვევა, იცვლება მიტოქონდრიების ფუნქციონირება, მეტაბოლიზმი და სასიგნალო გზები, რასთანაც დაკავშირებულია მრავალი პათოლოგიური მდგომარეობა, მათ შორის სიმსივნე, დაბერება, ნეიროდეგენერაცია და მეტაბოლური დარღვევები (Itoh K, et al;2013; Reddy PH, et al; 2012; Cho DH, et al;2010; Ong SB, et al;2013). იმას, რომ ცნს ძლიერ მგრძნობიარეა მიტოქონდრიული ფუნქციების დეფექტების მიმართ, ადასტურებს ნევროლოგიური დარღვევების გრძელი სია, რომელიც გამოწვეულია მტ-დნმ-ის და ძირითადი მიტოქონდრიული ცილების მავნებელი ბირთვული გენების გენეტიკური ცვლილებებით (DiMauro, S. et al. 2013).

მიტოქონდრიული დარღვევების ფართო სპექტრი და ამით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესი წარმოადგენს ისეთი ნეიროდეგენერაციული დაავადებების ძირითად მახასიათებლებს, როგორებიცაა მაგ. ალცჰაიმერის, პარკინსონისა და ჰანტინგტონის დაავადება (Beal, M.F. 1995).

უკანასკნელ წლებში დიდ ინტერესს იწვევს მიტოქონდრიის როლი უჯრედის სიცოცხლიუნარიანობის განსაზღვრაში და გარკვეული პათოლოგიების (მათ შორის გულსისხლძარღვთა დაავადებების, ნეიროდეგენერაციული დაავადებების და ავთვისებიანი სიმსივნეების) განვითარებაში (Cassis et al., 2010; de Cavanagh et al., 2009; Dikalova AE. et al., 2010).

თავის ტვინის ენერგეტიკული მეტაბოლიზმი წარმოადგენს სამიზნეს, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია ეფექტური თერაპიული მეთოდების შემუშავებისათვის თავის ტვინის დაავადებების მკურნალობისა და ნორმალური კოგნიტური ფუნქციების გასაძლიერებლად. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მზარდ სამეცნიერო მონაცემებს ამ მიმართულებით, მიტოქონდრიული რესპირატორული ფუნქციებზე მიმართული მანიპულაციები, როგორც ჩანს, წარმოადგენს მომდევნო ლოგიკურ საფეხურს ნეიროდეგენერაციის წინააღმდეგ ეფექტური თერაპიული საშუალებების შემუშავებისათვის (Gonzalez-Lima F., et al, 2014). მიტოქონდრიები წარმოადგენენ იდეალურ სამიზნეს თერაპიული ზემოქმედებისათვის, რამდენადაც სწორედ ისინი არიან ენერგიის პროდუქციის, ROS-ის გენერაციისა და აპოპტოზის მთავარი

რეგულატორები. მიტოქონდრიაზე მოქმედი სამკურნალო პრეპარატები არიან თერაპიული აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ პირდაპირი გავლენა მოახდინონ მიტოქონდრიების შეცვლილ ბიოენერგეტიკაზე, ოქსიდაციურ სტრესზე, მტ-დნმ-ის მუტირების ხარისხზე, Ca^{2+} -ის დეპონირების დარღვევებზე და მიტოქონდრიებით გაშუალებულ აპოპტოზის პროცესზე (Burchell VS, 2010; Serviddio G, 2011; Camara AK., et al; 2010).

4.1 სინაპსური და არასინაპსური მიტოქონდრიები

ნეირონების ნორმალური ფუნქციონირება ძლიერ არის დამოკიდებული იმ ენერგიაზე, რომელიც მიიღება მიტოქონდრიული სუნთქვის შედეგად. განსაკუთრებული ფუნქციებისა და ბიოენერგეტიკული მოთხოვნილებების გამო, ნეირონებს გააჩნიათ მიტოქონდრიების არათანაბარი უჯრედული განაწილება. მაღალი ენერგეტიკული საჭიროების მქონე უბნები შეიცავენ მიტოქონდრიების უფრო დიდ რაოდენობას უჯრედის სხვა ნაწილთან შედარებით (Shepherd GM and Harris KM. 1998). კერძოდ, ასეთ უბანს წარმოადგენს სინაპსი, სადაც დიდი ენერგია იხარჯება სინაპსური აქტივობის უზრუნველსაყოფად - სინაპსური გადაცემისა და მოქმედების პოტენციალის გენერაციისათვის (Attwell, D., and S.B. Laughlin. 2001; Verstreken, P., 2005), ასევე იონური ჰომეოსტაზისა და ფოსფორილების რეაქციების უზრუნველსაყოფად (Mattson MP. 2008). ნანახია, რომ სინაპსური აქტივობის დროს იზრდება GLUT3-ის ექსპრესია უჯრედის ზედაპირზე, რაც იწვევს გლუკოზას უჯრედშიდა კონცენტრაციის მატებას (FerreiraJM,2011). აღნიშნულ პროცესი მოიცავს nNOS ფოსფორილებას Akt-ს მიერ (MagiS,et al; 2012).

სინაპსური მიტოქონდრიები სინთეზდებიან ნეირონული უჯრედის სომაში და შემდგომ ტრანსპორტირდებიან ნერვულ დაბოლოებებში - აქსონსა და დენდრიტებში. ცნს-ში მიტოქონდრიების სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლ. 1 თვეა. როდესაც მიტოქონდრიები ბერდება და ვეღარ ფუნქციონირებს საჭირო ხდება მათი მოშორება და ჩანაცვლება ახალი, ჯანმრთელი მიტოქონდრიებით. მიტოქონდრიების მოძრაობა და

განაწილება ასევე იცვლება სხვადასხვა სტრესული პირობების დროს (Miller and Sheetz, 2004; Chang and Reynolds, 2006; Cai et al., 2012). რეტროგრადული და ანტეროგრადული მიმართულებით გადაადგილებისათვის მიტოქონდრიები იყენებენ ცილებს - დინეინსა და კინეზინს, შესაბამისად (Brown MR., et al., 2006). ლიტერატურული მონაცემები მიუთითებენ, რომ მრავალი ექსტრაუჯრედული სიგნალი, მათ შორის ციტოზოლური კალციუმის, გლუკოზის, სინაპსური აქტივობის, ნეიროტრანსმიტერებისა და ზრდის ფაქტორების დონის ცვლილება, არეგულირებს მიტოქონდრიების ტრანსპორტს სინაპსის, დენდრიტული მორჩებისა და აქსონების მიმართულებით (Li Z, et al., 2004; Chada, S.R. and Hollenbeck, P.J. (2003). მიტოქონდრიების ტრანსპორტირების გამო, სინაპსური მიტოქონდრიები შესაძლოა უფრო “დაბერებულები” იყვნენ ვიდრე სომისა და გლიური უჯრედების მიტოქონდრიები და შესაბამისად, შესაძლოა უფრო დაზიანებული იყვნენ ოქსიდაციური სტრესით (Brown MR., et al., 2006).

სინაპსური მიტოქონდრიები განსხვავდებიან არასინაპსური მიტოქონდრიებისაგან ზომით, მობილობით, სიცოცხლის ხანგრძლივობით და სხვა მახასიათებლებით. (Li Z, et al; 2004; Guo X, et al. 2005). პრესინაპსური მიტოქონდრიები ჩვეულებრივ ცალკეული იზოლირებული ფორმით არიან, განსხვავებით მიტოქონდრიული მძივებისა და კლასტერებისა, რომლებიც გვხვდება ნეირონის სხვა უბნებსა და ასტროციტებში. (Muller, M., et al; 2005; Collins, T. J., et al; 2002).

თავის ტვინის ქერქიდან იზოლირებული სინაპსური და არასინაპსური მიტოქონდრიების შედარებისას დადგინდა, რომ ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჟანგბადის მოხმარების ხარისხით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ელექტრონების ტრანსპორტი ელექტრონების გადამტან ჯაჭვში ნორმაში კარგად არის შეუღლებული ჟანგვით ფოსფორილებასთან ორივე ტიპის მიტოქონდრიებში (Brown MR. Et al; 2006).

პროტეომიკის რაოდენობრივი ანალიზით გამოვლინდა, რომ სინაპსური და არასინაპსური მიტოქონდრიების საერთო ცილებიდან მრავალს მნიშვნელოვნად განსხვავებული ექსპრესია ახასიათებს. მათ შორის იმ ცილებს, რომლებიც მონაწილეობენ ჟანგვით ფოსფორილებაში, მიტოქონდრიების გაყოფასა და შერწყმაში,

კალციუმის ჰომეოსტაზსა და მიტოქონდრიული დნმ-ის რეპლიკაციაში. გარდა ამისა, სინაპსურ მიტოქონდრიებში, არასინაპსურ მიტოქონდრიებთან შედარებით მომატებულია ასაკობრივი (დაბერებასთან დაკავშირებული) დნმ-ის დელეციები და შემცირებულია ბიოენერგეტიკული ფუნქციები (Stauch KL., et al; 2014).


ცნობილია, რომ განვითარებად თავის ტვინში თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი განაპირობებს TCA ციკლისა და უჯრედული სუნთქვის დაქვეითებას მხოლოდ უჯრედულ მიტოქონდრიებში (Martinez et al. 2009) თუმცა, თიროიდული ჰორმონების მოქმედების მექანიზმი ზრდასრული თავის ტვინის მიტოქონდრიების აღნიშნულ სუბპოპულაციებზე ნაკლებად შესწავლილია.

თავი 5. ფლავონოიდები

5.1 ფლავონოიდების ზოგადი დახასიათება

ბუნებრივ წყაროებში შემავალი ბევრი ნაერთი ძლიერ იმედისმომცემია წამლების შემუშავებისათვის (Li JW, Vederas JC. 2009). უახლესმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ზოგიერთი სამკურნალო მცენარის გამოყენება ჰიპოთირეოზის კომბინირებულ თერაპიაში მნიშვნელოვნად ზრდის მის ეფექტურობას (Wu JJ et al., 2012). თიროიდულ სტატუსზე მოქმედ, მცენარეული წარმოშობის აგენტებს შორის განსაკუთრებულ პოტენციალს ფლავონოიდების ჯგუფს მიაწერენ.

ფლავონოიდები წარმოადგენენ მცენარეთა მეტაბოლიტების ჯგუფს, რომელშიც დღეისათვის აღმოჩენილი, 10 000-ზე მეტი ნაერთია გაერთიანებული, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმეა დეტალურად შესწავლილი (Pollastri S., Tattini M.: 2011). აღნიშნული ნაერთებს გააჩნიათ საერთო ფენილბენზოპირონის სტრუქტურა (C6-C3-C6) და ცენტრალური პირანის რგოლის ნაჯერობის და გახსნის ხარისხის მიხედვით ძირითადად განასხვავებენ შემდეგ ჯგუფებს: ფლავონები, ფლავონოლები, იზოფლავონები, ფლავონოლები, ფლავონონები და ფლავანონოლები (იხ. სურ. 10) (Middleton E, Jr., Kandaswami C. 1994; Harborne JB, Williams CA. 2005).



სურ.10 ფლავონოიდების ზოგადი სტრუქტურა და მათი კლასიფიკაცია ქიმიური სტრუქტურის მიხედვით (Middleton E, Jr., Kandaswami C. 1994; Harborne JB, Williams CA. 2005).

ფლავონოიდები დიდი რაოდენობით გვხვდება ხილში, ბოსტნეულში, ჩაიში და ღვინოში (Ross JA, Kasum CM; 2002). მცენარეებში მათ რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქცია გააჩნიათ, როგორიცაა მაგ. დამაზიანებელი ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან დაცვა, მცენარეთა პიგმენტაცია. (Pollastri S.,Tattini M.: 2011). ფლავონოიდების უმეტესობა განაპირობებს ყვავილის, ნაყოფისა და ფოთლების მომხიზვლელ შეფერილობას (de Groot H, Rauen U. 1998).

<i>ფლავონოიდების ქვეკლასი</i>	<i>წარმოდგენილი ფლავონოიდები</i>	<i>ძირითადი საკვები წყაროები</i>
ფლავონოლები	კემფეროლი, მირიცეტინი, კვერცეტინი, რუტინი	ხახვი, ალუბალი, ვაშლი, ბროკოლი, ფოთლოვანი კომბოსტო, პამიდორი, ჩაი, წითელი ღვინო, კენკრა
ფლავონები	აპიგენინი, ქრიზინი, ლუტეოლინი	ობრახუში, ბეგეონდარა
იზოფლავონები	დაიძეინი, გენისტეინი, გლიციტეინი, ფორმონეტინი	სოიო, პარკოსნები
ფლავანოლები	კატეჟინი, გალოკატეჟინი	ვაშლი, ჩაი
ფლავანონები	ერიოდიქტიოლი, ჰესპერიტინი, ნარინჯენინი	ფორთოხალი, გრეიფრუტი
ფლავანონოლები	ტაქსიფოლინი	ლიმონი

ცხრილი 3. ფლავონოიდების ქვეკლასები და მათი საკვები წყაროები (Ren W, et al; 2003)

მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე ინფორმაცია ფლავონოიდების მოქმედების მექანიზმის შესახებ მწირი იყო. თუმცა, საუკუნეების განმავლობაში ფართოდ იყო აღიარებული, რომ მცენარეული წარმოშობის ნაერთებს გააჩნდათ ბიოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრი (Robak J, Gryglewski RJ. 1996).

1930 წელს ფორთოხლიდან გამოყოფილი იქნა ახალი ნაერთი, რომელიც მიიჩნიეს ვიტამინების ახალი კლასის წარმომადგენლად და უწოდეს ვიტამინი P. როდესაც გაირკვა, რომ აღნიშნული ნაერთი წარმოადგენდა ფლავონოიდს (რუტინს), დაიწყო მრავალი კვლევა სხვადასხვა ფლავონოიდების გამოყოფისა და მათი მოქმედების მექანიზმის შესასწავლად (Robert J Nijveldt, et al; 2001).

ფლავონოიდების კვლევას დამატებითი იმპულსი შესძინა ე.წ. ფრანგული პარადოქსის აღმოჩენამ. ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების მოსახლეობებში გამოვლინდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით განპირობებული სიკვდილიანობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი წითელი ღვინისა და მაღალნაჯერი ცხიმების ინტენსიური მოხმარების ფონზე. აღნიშნული ეფექტი, ნაწილობრივ მაინც, განპირობებულია წითელ ღვინოში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით (Formica JV, Regelson W. 1995). ეპიდემიოლოგიური კვლევები მიუთითებენ, რომ საკვების ფლავონოიდებს დამცველობითი როლი გააჩნიათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ (de Groot H, Rauen U. 1998). აღნიშნული შედეგის განმაპირობებელი მექანიზმი უცნობი რჩება, თუმცა თანამედროვე მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ფლავონოიდების ამგვარი გავლენა შესაძლოა განპირობებული იყოს გულ-სისხლძარღვოვან დაავადებების განვითარების რისკ-ფაქტორებზე ზემოქმედებით. ფლავონოიდები აუმჯობესებენ ენდოთელური უჯრედების ფუნქციურ მდგომარეობას, აინჰიბირებენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაჟანგვას, ამცირებენ სისხლის წნევას და აუმჯობესებენ დისლიპიდემიას (Mulvihill & Huff, 2010). გარდა ამისა, ნანახი იქნა, რომ ჩაიდან გამოყოფილი ფლავონოიდები აინჰიბირებენ ათეროსკლეროზის განვითარებას ცხოველურ მოდელებში (Hodgson & Croft, 2010).

ფლავონოიდების მოქმედების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ანტიოქსიდანტურ ფერმენტებთან მათი ურთიერთქმედება და თავისუფალი რადიკალებისაგან დაცვა. ვირთაგვის ჰეპატოციტების კულტურაში (BL-9) კვერცეტილებისა და კატეჩინების დამცველობითი მოქმედება წყალბადის ზეჟანგის ტოქსიკურობის წინააღმდეგ დაკავშირებულია მათ მიერ გლუტათიონ პეროქსიდაზას აქტივაციასთან (Nagata et al., 1999). გლუტათიონ პეროქსიდაზასა და გლუტათიონ რედუქტაზას აქტივაცია აღინიშნა ადამიანის ჰეპატოციტებშიც კაკაოს ფლავონოიდების მიერ (Martin et al., 2010). ლუტეონინის მიერ გამოწვეულ ადამიანის ფილტვის კიბოს უჯრედების აპოპტოზს თან ახლავს ანტიოქსიდანტური ფერმენტების, როგორებიცაა, სუპეროქსიდ დისმუტაზასა და კატალაზას გააქტივება (Leung et al., 2006). ფლავონოიდები აინჰიბირებენ ზეჟანგის პროდუქციის განმაპირობებელ ფერმენტებს,


მაგ. ქსანტინოქსიდაზასა და პროტეინკინაზა C-ს. ასევე ციკლოოქსიგენაზას, ლიპოქსიგენაზას, მიკროსომულ სუქცინოქსიდაზას და NADH ოქსიდაზას აქტივობას. ნანახია, რომ ფლავონოიდები მაინჰიბირებელ მოქმედებას ავლენენ აზოტის ოქსიდის ინდუციბელური სინთაზას ექსპრესიაზე. ზოგიერთი ფლავონოიდი, და მათ შორის კვერცეტინი, ამცირებს იშემია-რეპერფუზიით გამოწვეულ დაზიანებას აზოტის ოქსიდის ინდუციბელური სინთაზას აქტივობაზე ზემოქმედების გზით (Prochazkova D, et al., 2011).

ფლავონოიდები წარმოადგენენ ნეიროდეგენერაციული დაავადებების სამკურნალო, ახალი თაობის თერაპიული აგენტების ძირითად კომპონენტებს. ფლავონოიდების რეგულარული მოხმარება დაკავშირებულია ნეიროდეგენერაციული დაავადებების რისკის შემცირებასთან. გარდა ანტიოქსიდანტური თვისებებისა, მოცემული პოლიფენოლური ნაერთები ავლენენ ნეიროპროტექტორულ თვისებებს, ურთიერთქმედებენ რა უჯრედულ სასიგნალო გზებთან და ზემოქმედებენ უჯრედულ ფუნქციებზე როგორც ნორმის, ისე პათოლოგიის პირობებში (Solanki I et al., 2015). ცნობილია, რომ მწვანე ჩაის კატექინებს გააჩნიათ ნეიროპროტექტორული/ნეირორეგენერაციული მოქმედება. რაც ერთი მხრივ განპირობებულია მათი, როგორც მეტალების ანტიოქსიდანტური ქელატორების მოქმედებით, ხოლო მეორეს მხრივ, ისინი ცვლიან ნეირონული სიგნალის უჯრედშიდა გადაცემასა და მეტაბოლიზმს და ასევე მიტოქონდრიულ ფუნქციებს (Mandel SA, et al., 2011).

მას შემდეგ რაც დადგენილი იქნა, რომ ზოგიერთი ფლავონოიდი წარმოადგენს გაემ-ის რეცეპტორების ლიგანდს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, წარმოიშვა ჰიპოთეზა, რომ ისინი მოქმედებენ ბენზოდიაზეპინის ტიპის მოლეკულების მსგავსად. აღმოჩნდა, რომ მრავალი ფლავონის ნაწარმი უკავშირდება ბენზოდიაზეპინის დამაკავშირებელ უბანს და იწვევენ დამამშვიდებელ მოქმედებას თაგვებში. ნანახია მათი სედატიური, ტრანკვილიზატორული და ანტიკონვულსატორული მოქმედებაც (Fernandez SP, et al, 2006).

ლაბორატორიული კვლევების, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევებისა და ადამიანებზე ჩატარებული კლინიკური ცდების შედაგად მიღებული მონაცემები მიუთითებენ, რომ ფლავონოიდები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კიბოს ქიმიოპრევენციასა და ქიმიოთერაპიაზე. იდენტიფიცირებული იქნა ფლავონოიდების მოქმედების მრავალი მექანიზმი, მათ შორის კარცინოგენების ინაქტივაცია, პროლიფერაციის დათრგუნვა, უჯრედული ციკლის შეჩერება, აპოპტოზისა და დიფერენციაციის გამოწვევა, ანგიოგენეზის ინჰიბირება, ანტიოქსიდანტური მოქმედება და წამლების მულტირეზისტენტობის შეცვლა ან აღნიშნული მექანიზმების კომბინაციები (Ren W, et al., 2003).


ფლავონოიდების მოლეკულური სამიზნეები მოიცავს მიტოგენ აქტივირებად პროტეინკინაზას (MAPK), პროტეინკინაზა C-ს, ფოსფატიდილინოზიტოლ-3-კინაზას (PI3K)/AKT და β -კატენინის გზას, რომლის აქტივობაც დაკავშირებულია ავთვისებიან ტრანსფორმაციასა და სიმსივნის განვითარებასთან. ფლავონოიდები, იწვევენ რა უჯრედის ციკლის შეჩერებასა და აპოპტოზს, შესაძლებელია მონაწილეობდნენ ანთებითი ბირთვული ფაქტორის κB (NF κB)-სა და სიმსივნის აქტივატორი ცილა-1 (AP-1) –ის გააქტივებაში (Surh YJ. 2003).



სურ.11 ფლავონოიდების მოლეკულური სამიზნეები კიბოს პრევენციაში. AP-1, აქტივატორი ცილა-1; EGCG, ეპიგალოკატეჰინ-3-გალატი; GSK-3 β , გლიკოგენ სინთაზას კინაზა-3 β ; JNK, c-Jun NH(2)-ტერმინალური კინაზა; MMP მატრიქსის მეტალოპროტეინაზა; NF κB , ბირთვული ფაქტორი κB ; PI3K, ფოსფატიდილინოზიტოლ-3-კინაზა; PKC, პროტეინკინაზა C; pRb, ფოსფორილებული რეტინობლასტომა; TRAIL, სიმსივნის ნეკროზის ფაქტორთან დაკავშირებული აპოპტოზის მაინდუცირებელი ლიგანდი; VEGFR, სისხლძარღვთა ენდოთელური ზრდის ფაქტორის რეცეპტორი (Surh YJ. 2003; Kris-Etherton PM, et al., 2004; Shanmugam MK, et al., 2011; Yang et al., 2009).

ცნობილია, რომ ფლავონოიდები სინთეზდებიან მცენარეების მიერ მიკრობული ინფექციების საპასუხოდ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ *in vitro* ისინი აღმოჩნდნენ ეფექტური ანტიმიკრობული ნივთიერებები მიკროორგანიზმთა ფართო სპექტრის წინააღმდეგ (Mishra A et al ., 2013; Mishra A et al; 2011).

უკანასკნელ წლებში ლიტერატურაში დაგროვდა მონაცემები ციტრუსის ფლავონოიდების (იხ.სურ.12) ნეიროპროტექტორული და ანთების საწინააღმდეგო თვისებების შესახებ (Walle et al., 2007; Mazzio et al., 2011) და დღეისათვის აქტიური კვლევები მიმდინარეობს ციტრუსის ფლავონოიდების სხვადასხვა ბიოლოგიური მოქმედებების გამოსავლენად. ციტრუსები შეიცავენ ფლავონოიდების ფართო სპექტრს, რომელთაგანაც ზოგიერთი, მაგ.ჰესპერიდინი, ნარინჯინი და პოლიმეთოქსილებული ფლავონები (PMFs) (მათ შორის ნობილეტინიც), მხოლოდ ციტრუსებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო სხვები, მაგ. რუტინი და კვერცეტინი გვხვდება სხვა მცენარეებშიც (Nogata Y. et al.,2006).



სურ. 12 ციტრუსის ძირითადი ფლავონოიდები (Nogata Y., et al; 2006).


ნანახი იქნა, რომ ციტრუსის ფლავონოიდი ნარინჯინი ამცირებს საერთო ქოლესტეროლისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის ქოლესტეროლის დონეს პლაზმაში (Jung U.J., et al; 2003), ხოლო ჰესპერიდინი და მისი მეტაბოლიტები მნიშვნელოვნად ამცირებენ პლაზმაში საერთო ქოლესტეროლისა და ტრიგლიცერიდების კონცენტრაციას (Kim H.K., et al; 2003). ჰესპერიდინი და დიოსმინი მოქმედებენ როგორც ქიმიოპრევენციული აგენტები აზოქსიმეტანით გამოწვეული მსხვილი ნაწლავის კიბოს წინააღმდეგ (Tanaka T., et al; 1997). ტანჯერეტინს დამთრგუნველი გავლენა გააჩნია ავთვისებიანი სიმსივნის ინვაზიასა და მეტასტაზირებაზე (Bracke M.E., et al; 1994).

უკანასკნელ წლებში აქტიური კვლევები მიმდინარეობს ციტრუსის პოლიმეთოქსილებული ფლავონების იდენტიფიცირებისა და მოქმედების მექანიზმების შესასწავლად. დღეისათვის ციტრუსების სხვადასხვა ქსოვილიდან ოცზე მეტი პოლიმეთოქსილებული ფლავონია გამოყოფილი და იდენტიფიცირებული, ამასთან მათ ყველაზე მდიდარ წყაროს ციტრუსის კანი წარმოადგენს (Shiming L., et al; 2014). მეთოქსილებულ ფლავონებს დიდი უპირატესობა გააჩნიათ არამეთოქსილებულ ფლავონებთან შედარებით მათი ორალური ბიოშელწევადობის გამო. ორალურად ბიოშელწევად მეთოქსიფლავონებს მნიშვნელოვნად დიდი უნარი გააჩნიათ მიაღწიონ სამიზნე ქსოვილს და გამოავლინონ ბიოლოგიური მოქმედება *in vivo* (Walle T. 2007).

5.2 ნობილეტინი

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ციტრუსის PMF არის ნობილეტინი (NOB) (Li et al., 2006 a; Li, Lo & Ho , 2006 b). მას გააჩნია ექვსი მეთოქსილის ჯგუფი, რომლებიც ჩანაცვლებულია A რგოლის 5,6,7,8- და B რგოლის 3',4'-მდგომარეობებში (იხ.სურ.13) აქედან გამომდინარე ნობილეტინის IUPAC სახელწოდება არის 2-(3,4-დიმეთოქსიფენილ)-5,6,7,8-ტეტრამეთოქსიქრომენ-4-ერთი, ასევე 2-(3,4-


დიმეტოქსიფენილ)-5,6,7,8-ტეტრამეტოქსი-4H-1-ბენზოპირენ-4-ერთი და 5,6,7,8,3'4'-ჰექსამეტოქსიფლავონი (Shiming L., et al; 2014).



სურ.13 ნობილეს ქიმიური სტრუქტურა

ნობილეტინი ვირთაგვებში სწრაფად აბსორბირდება ორალურად მიღების ან კუჭში ზონდით შეყვანის შემთხვევაში და პლაზმაში მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს 0.25 და 0.5 საათის შემდეგ (Kumar et al; 2012. Manthey et al;2011).

ნანახი იქნა, რომ ნობილეტინი განიცდის *in vivo* ბიოტრანსფორმაციას და წარმოქმნის მეტაბოლიტებს, რომელთაც სხვადასხვაგვარი ბიოლოგიური აქტივობა და ფარმაკოლოგიური თვისებები გააჩნიათ (Koga N., et al; 2011. Li et al;2007. Lai et al; 2008; Oshitari et al;2011).



სურ.14 ნობილეტინისა და მისი ძირითადი იდენტიფიცირებული მეტაბოლიტების სტრუქტურები (Shiming L., et al; 2014)

არსებობს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო მონაცემები ნობილეტინის ბიოლოგიური მოქმედებების შესახებ. მათ შორისაა ანტიკანცეროგენული, ანთებისაწინააღმდეგო, ნეიროპროტექტორული და სხვ.

ბოლო დროს გამოქვეყნებული კვლევები მიუთითებენ, რომ NOB უნარი აქვს დაარეგულიროს ლიპიდებისა და გლუკოზას მეტაბოლიზმი. NOB ამცირებს სიმსუქნისადმი მიდრეკილებას, დისლიპიდემიას, ჰიპერგლიკემიას და ინსულინისადმი რეზისტენტობას. (Lee Young-Sil .,et al 2013). ნობილეტინის ჩართვა დასავლეთის დიეტაში (Western diet) აძლიერებს β -დაჟანგვას ღვიძლში, რაც ხელს უწყობს ღვიძლის მიერ ტრიაცილგლიცეროლებისა (TG) და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (VLDL) სეკრეციის შემცირებას და აკორექტირებს ინსულინისადმი რეზისტენტობას (Mulvihill E.E & Huff M.W. 2012). ნობილეტინი ამცირებს ცირკულირებადი ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (VLDL) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (LDL) კონცენტრაციას სისხლში და უშუალოდ აინჰიბირებს მაკროფაგებისაგან ქაფიანი უჯრედების წარმოქმნას სისხლძარღვის კედლის დაზიანების უბანში (Whitman S.C ., et al; 2005). NOB თრგუნავს ადიპოგენეზს და აძლიერებს ადიპოციტების დიფერენციაციას და ლიპოლიზს cAMP/CREB-ით გაშუალებული სასიგნალო კასკადის გააქტივებით (Saito T. Et al; 2007).

სამეცნიერო შედეგები მიუთითებენ, რომ შესაძლებელია ნობილეტინს დადებითი მოქმედება გააჩნდეს მეტაბოლური დარღვევებისა და ოსტეოპოროზის პრევენციისა და გაუმჯობესებისათვის პოსტმენოპაუზის ასაკის მქონე ქალებში. კვლევებით დადგინდა, რომ ნობილეტინი ამცირებს სხეულის მასის მატებას და თეთრი ცხიმოვანი ქსოვილის მასას ოვარექტომირებულ (OVX) თაგვებში. გარდა ამისა, ნობილეტინი იცავს OVX თაგვებს ძვლის სიმტკიცის დაკარგვისაგან (Lee Y-S., et al; 2014). ნობილეტინს უნარი აქვს დაარეგულიროს ძვლის მეტაბოლიზმი. იგი თრგუნავს ოსტეოკლასტების ფორმირებას და ძვლების რეზორბციას ბირთვული ფაქტორი-kB-დამოკიდებული პროსტაგლანდინ E-ს წარმოქმნის ინჰიბირებით ოსტეობლასტებში. გარდა ამისა ნობილეტინი ეწინააღმდეგება ძვლოვანი მასის დაკარგვას OVX თაგვებში (Harada S., et al; 2011).

ლიპიდურ ცვლაზე დადებითი ეფექტის გარდა ნანახი იქნა, რომ ნობილეტინი მნიშვნელოვნად აძლიერებს გლუკოზას მოხმარებასა და გლუკოკინაზურ აქტივობას, ასევე ზრდის გლიკოგენის კონცენტრაციას ღვიძლში, ხოლო ძლიერ ამცირებს გლუკოზა-6-ფოსფატაზას აქტივობას. გარდა ამისა, აინჰიბირებს სახამებლის მონელებას, აძლიერებს გლიკოლიზის პროცესს და ასუსტებს გლუკონეოგენეზს (Shen et al; 2012).

PMFs-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის მათი ანთების საწინააღმდეგო აქტივობა. ანთების სხვადასხვა მოდელებში ნობილეტინი ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას ახდენს აზოტის ოქსიდის პროდუქციისა და პროანთებითი ციტოკინების (TNF- α , IL-6) ექსპრესიის დათრგუნვით, და ასევე NFkB, JNK და p38 მიტოგენ-აქტივირებადი პროტეინკინაზების გააქტივებით (Choi SY., et al; 2007. Cui Y., et al; 2010. Murakami A., et al; 2003). ნობილეტინი მნიშვნელოვნად აინჰიბირებს კანის ანთებას ანთებითი პარამეტრების შემცირების გზით. იგი თრგუნავს ციკლოოქსიგენაზა-2-ის ექსპრესიას და ინდუციბელური NO სინთაზას ცილებისა და პროსტაგლანდინ E2-ის გამოთავისუფლებას (Murakami A., et al; 2000).

In vitro და ასევე *in vivo* კვლევები მიუთითებენ, რომ პოლიმეთოქსიფლავონებს დამცველობითი მოქმედება გააჩნიათ კიბოს წინააღმდეგ. PMFs აინჰიბირებენ კარცინოგენეზს სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის ბლოკავენ მეტასტაზებს, აინჰიბირებენ კიბოს უჯრედების სისხლძარღვთა სისტემაში გადაადგილებას, იწვევენ აპოპტოზს და მოქმედებენ როგორც ანტიპროლიფერაციული აგენტები (Kunimasa et al; 2010. Li S. et al; 2009).

კვლევებით დადგენილია, რომ ნობილეტინი აინჰიბირებს ადამიანის პროსტატის, კანის, მკერდის და მსხვილი ნაწლავის კარცინომის უჯრედული ხაზების პროლიფერაციას და ზოგიერთი მატრიქსის მეტალოპროტეინაზას (MMPs) პროდუქციას (Kawabata et al; 2005. Murakami et al; 2002). 42 ფლავონოიდის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნობილეტინს ყველაზე ძლიერი ანტიპროლიფერაციული მოქმედება აქვს ადამიანის კიბოს ექვსი ხაზის წინააღმდეგ (Yoshimizu et al; 2004). ნობილეტინი თრგუნავს ჰეპატოციტების ზრდის ფაქტორით (HGF) გამოწვეულ ღვიძლის კიბოს უჯრედების მეტასტაზირებას, აინჰიბირებს რა ადჰეზიას, ინვაზიასა და

